



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ბოლნისი“

„ბოლნისი“ ნახშირორჟანგიანი სილიციუმშავიანი სულფატურ-ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-ნატრიუმიანი სამკურნალო, სუფრის მინერალური წყალი.

საბადო მდებარეობს მდ. მაშავრის ნაპირზე, თბილის-ბოლნისის გზატკეცილის მე-60 კმ-ზე. დაკავშირებულია ზედაცარცულ ვულკანოგენურ ქანებთან. წყალი ცირკულირებს ნაპრალებში. ქიმ. შემადგენილობა: $CO_2 1,6$ H_2SiO_3 80-100 Mg 6-8 (HCO_3 60-70 SO_4 20-40)/(Mg 40-50 ($Na+K$)30-50) წარმოებს წყლის ჩამოსხმა. იყენებენ კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, სანაღვლე და საშარდე გზების დაავადებათა და ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს.

ტ. ჩიჩუა.
